10 YEARS EASTERN PARTNERSHIP Civil Society Forum

Funded by the European Union

NED National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

ევროკავშირისა და სომხეთის ურთიერთობები ვიზის ფასილიტაციისა და ლიბერალიზაციის ფარგლებში

პოლიტიკის დოკუმენტი
ოქტომბერი 2019

GIP საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

IPRE Institute for European Policies and Reforms ipre.md

global

მიმომხილველი და საერთაშორისო კონსულტანტი:

- **ალექსანდრა შტიგლმაიერი** - *უფროსი ანალიტიკოსი ბრიუსელში, ევროპული სტაბილურობის ინიციატივა (ESI).*

ავტორი:

- **დოქტ. სტეფან გრიგორიანი** - *საბჭოს თავმჯდომარე, გლობალიზაციისა და რეგიონული თანამშრომლობის ანალიტიკური ცენტრი (ACGRC, სომხეთი).*

წინამდებარე პუბლიკაცია შემუშავდა პროექტის **„საქართველოს, მოლდოვასა და სომხეთს შორის გამოცდილების გაზიარების გზით ვიზალიბერალიზაციის ხელშეწყობა“** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს **საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP, საქართველო) ევროპული პოლიტიკის და რეფორმის ინსტიტუტთან (IPRE, მოლდოვა)** და **გლობალიზაციისა და რეგიონული თანამშრომლობის ანალიტიკურ ცენტრთან (ACGRC, სომხეთი)** ერთად.

პუბლიკაცია შემუშავდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. შინაარსზე პასუხისმგებელია სტეფან გრიგორიანი და ის შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს.

შინაარსი

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მიღება როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის, ისე სომხეთის მთავრობის 2019 წლის პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს. ვიზალიბერალიზაციის შეთანხმების ბოლო ეტაპი - სავიზო დიალოგი ევროკავშირსა და სომხეთს შორის - ჯერ კიდევ არ დაწყებულა. სომხეთი და ევროკავშირი სომხეთიდან არალეგალური მიგრაციის მაღალი რისკის წინაშე დგანან. ევროკავშირი სომხეთის მთავრობისგან მოელის დემოკრატიული რეფორმების გატარებისათვის ძლიერ პოლიტიკურ ნებას და მიგრაციის მართვის, რეადმისიის, დოკუმენტების უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებების გაუმჯობესებას.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია სომხეთის სახელმწიფო უწყებების მთავარი მიღწევები, მაგალითად ევროკავშირსა და სომხეთს შორის თანამშრომლობა მობილობისა და საზღვრის მართვის სფეროებში, ასევე 2014 წლის ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებების რატიფიკაცია. დოკუმენტი დეტალურად აღწერს ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებით უზრუნველყოფილ უფლებებსა და სარგებელს სომხეთის მოქალაქეებისთვის. ნაშრომში ხაზგასმულია ბიომეტრულ პასპორტებზე სრულად გადასვლასთან, მონაცემთა დაცვასთან და რეადმისიასთან დაკავშირებული მთავარი საკითხები. დოკუმენტი ეფუძნება შენგენის ვიზის გაცემისა და საზღვარზე დაშვების უარის მაჩვენებლების სტატისტიკურ მონაცემებს დროთა განმავლობაში, ასევე სომხეთის მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნაზე განაცხადებების რაოდენობას. დასასრულს, დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც სომხეთის მთავრობას დაეხმარება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მიღებაში.

შესავალი

ევროკავშირისა და სომხეთის 2014 წლის ვიზის ფასილიტაციის შეთანხმება ევროკავშირსა და სომხეთს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი ფორმატია. მობილობის გაზრდის მიზნით ეს პროცესი 2009 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში დაიწყო. სომხეთმა და ევროკავშირმა 2011 წელს ხელი მობილობის პარტნიორობის, ხოლო 2012 და 2013 წლებში, ევროკავშირსა და სომხეთს შორის ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებებს მოაწერეს. მაშინ, როცა სომხეთი და ევროკავშირი ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებულ სავიზო დიალოგს დაიწყებენ, პროცესი ხელს შეუწყობს სომხეთის მოქალაქეებისთვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას. ვიზალიბერალიზაციის საკითხზე ყურადღება ევროკავშირსა და სომხეთს შორის ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის შეთანხმებაშია (CEPA) გამახვილებული, რომელიც დროებით მოქმედებს 2018 წლის ივნისიდან და რომლის მნიშვნელობაც არაერთგზისაა ხაზგასმული სომხეთის მთავრობის მიერ. ამავდროულად არსებობს გარკვეული პრობლემური საკითხები, განსაკუთრებით უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემთხვევაში სომხეთიდან არალეგალური მიგრაციის რისკის ზრდა, რაც აღნიშნულ პროცესს აფერხებს. ამასთანავე, ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაცია საჭიროებს სასაზღვრო კონტროლის, მიგრაციის მართვის, რეადმისიის, დოკუმენტების უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციასთან და ორგანიზებულ

დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებების გაუმჯობესებას. ვიზალიბერალიზაციის მოსაპოვებლად სომხეთმა საჭირო რეფორმებისთვის ძლიერი პოლიტიკური ნება უნდა გამოხატოს და ევროკავშირსა და სომხეთს შორის რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობა გააუმჯობესოს.

დოკუმენტში, რომელიც ოთხი ნაწილისგან შედგება, ხაზგასმულია ევროკავშირსა და სომხეთს შორის ხალხთაშორის თანამშრომლობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესები. პირველი ნაწილი უკავშირდება ვიზის ფასილიტაციისა და მობილობის პარტნიორობის სფეროებში მიმდინარე პროცესებს და ვიზალიბერალიზაციის ბოლო ეტაპისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. მეორე თავში წარმოდგენილია სომხეთის მოქალაქეების მოთხოვნილი და გაცემული შენგენის ვიზების სტატისტიკური ანალიზი. დოკუმენტში ასევე აღწერილია საქართველოს გამოცდილება, რომელიც ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლით 2017 წლის მარტიდან სარგებლობს. მესამე თავი სომხეთის მიერ ვიზის ფასილიტაციის შეთანხმების დანერგვას ეხება. მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია სომხეთსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში. დოკუმენტი სრულდება რეკომენდაციებით. რეკომენდაციები წარმოდგენილია თემატურად სომხეთის მთავრობისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ევროკავშირისთვის.

ვიზის ფასილიტაციის ფარგლებში ევროკავშირსა და სომხეთს შორის არსებული ურთიერთობების ტრენდები

ევროკავშირისა და სომხეთის მობილობის პარტნიორობა და ვიზის ფასილიტაცია

მობილობის მიმართულებით თანამშრომლობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმული მთავარი ნაბიჯი მობილობის პარტნიორობაზე ერთობლივი დეკლარაცია გახდა, რომელსაც ხელი ევროკავშირმა და სომხეთმა ლუქსემბურგში 2011 წლის 27 ოქტომბერს მოაწერეს[1]. დოკუმენტში მხარეებმა დაადასტურეს მზადყოფნა ევროკავშირსა და სომხეთს შორის ადამიანების მიმოსვლის ხელშეწყობისა და მიგრანტთა ნაკადის უკეთესი მართვის, მათ შორის არალეგალური მიგრაციის პრევენციისა და შემცირების მიმართულებით.

სომხეთში საზღვრის მართვის გაუმჯობესების მიზნით არაერთი პროექტი განხორციელდა. 2012-2016 წლებში ევროკავშირმა განახორციელა სამი მილიონი ევროს ღირებულების პროექტი „სომხეთის მიგრაციის მართვის შესაძლებლობის გაძლიერება განსაკუთრებული აქცენტით რეინტეგრაციის ღონისძიებებზე ევროკავშირსა და სომხეთს შორის მობილობის პარტნიორობის ფარგლებში“. პროექტის მიზანს დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერად და არალეგალური მიგრაციით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად სომხეთში შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების

*** დოქტორი სტეფან გრიგორიანი - საბჭოს თავმჯდომარე, გლობალიზაციისა და რეგიონული თანამშრომლობის ანალიტიკური ცენტრი (ACGRC).

[1] Council of the European Union. 2011. *Joint Declaration on a Mobility Partnership between the European Union and Armenia*. http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/jha/125698.pdf (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

გაძლიერება წარმოადგენდა[2]. 2017 წელს დაიწყო პროექტი „iMigrantArmenia.EU" საზღვარგარეთ დასაქმებული იმ სომხების დასახმარებლად, რომლებიც სომხეთში ინვესტირებითა და ბიზნესის დაწყებით არიან დაინტერესებულნი[3].

მობილობის პარტნიორობის დეკლარაციის შემდეგ, 2012 წლის თებერვალში ერევანში დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირთან ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებების თაობაზე. ევროკავშირსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ვიზის გაცემის ფასილიტაციასთან დაკავშირებით შეთანხმება 2014 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა. ვიზალიბერალიზაცია, როგორც გრძელვადიანი მიზანი, პირველად 2009 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში გაჩნდა. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს სახელმწიფოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებებს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებებთან (DCFTA) ერთად. ორივე ორმხრივი შეთანხმება მიზნად ისახავდა თანამშრომლობის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლის შექმნას. ასოცირების შესახებ შეთანხმებას ჩამოეყალიბებინა და განემტკიცებინა პოლიტიკური დიალოგი საგარეო და უსაფრთხოების, სამართლებრივ და საშინაო, ასევე ეკონომიკური და სექტორული თანამშრომლობის სფეროებში მაშინ, როდესაც DCFTA უზრუნველყოფდა ეკონომიკურ თანამშრომლობასა და საკანონმდებლო ჰარმონიზაციას ევროკავშირის *acquis communautaire*-თან.

თუმცა, ევროკავშირთან ხანგრძლივი და აქტიური მოლაპარაკებებისა და დიდი ძალისხმევის მიუხედავად, სომხეთმა ევროკავშირთან გაწყვიტა ასოცირების შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებები და დაიწყო რუსეთის თაოსნობით შექმნილ ევრაზიის საბაჟო კავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში (ეეკ) გაწევრიანების პროცესი. 2013 წლის 3 სექტემბერს სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვია და განაცხადა სომხეთის გადაწყვეტილების შესახებ, რომლის მიხედვითაც სომხეთს სურს შეუერთდეს რუსეთის თაოსნობით შექმნილ საბაჟო კავშირს. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე უეცარმა უარმა ცხადად მიანიშნა რუსეთის მხრიდან არსებულ ზეწოლაზე და წარმოაჩინა სომხეთის რუსეთზე დამოკიდებულება. 2015 წლის 2 იანვარს სომხეთი ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს შეუერთდა და ბელარუსთან, ყაზახეთთან და რუსეთთან ერთად ეეკ-ის სრულფასოვანი წევრი გახდა[4].

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთმა უარი განაცხადა 2013 წელს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე, მოგვიანებით შემუშავდა და 2017 წლის 21 მარტს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის შეთანხმებას (CEPA). ამჯერად სომხეთი ახალი შეთანხმების ერთგული დარჩა. 2018 წლის 11 აპრილს სომხეთის რესპუბლიკის ეროვნულმა ასამბლეამ ერთხმად მოახდინა ევროკავშირთან ყოვლისმომცველი და

---

[2] EEAS Homepage. 2016. *Strengthening Armenia's Migration Management Capacities, with Special Focus on Reintegration Activities in the Framework of the EU-Armenia Mobility Partnership.* https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/11239/strengthening-armenias-migration-management-capacities-with-special-focus-on-reintegration-activities-in-the-framework-of-the-eu-armenia-mobility-partnership_sr (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[3] EEAS Homepage. 2016. *Strengthening Current and Future Employment and Self-Employment Programmes Through Sustainable Value Chain.* https://eeas.europa.eu/delegations/armenia/39534/imigrantarmeniaeu-strengthening-current-and-future-employment-and-self-employment-programmes_en (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[4] Eurasian Economic Commission. 2015. *Armenia acceded to the Eurasian Economic Union*. http://www.eurasiancommission.org/en/nae/news/Pages/02-01-2015-1.aspx (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

გაძლიერებული პარტნიორობის შეთანხმების რატიფიკაცია[5]. შეთანხმება დროებით 2018 წლის 1 ივნისიდან მოქმედებს. CEPA გულისხმობს დემოკრატიული რეფორმების, მათ შორის დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტურობის გაზრდის, ადამიანის უფლებების დაცვის, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და კორუფციასთან ბრძოლის კუთხით სომხეთის მთავრობის მზადყოფნას.

პოლიტიკური მიმართულებით თანამშრომლობისთვის მზადყოფნასთან ერთად CEPA ყურადღებას ამახვილებს მობილობასა და ვიზალიბერალიზაციის პროცესზე. ამ მიმართულებით თანამშრომლობა განხილულია მე-3 თავში „სამართალი, თავისუფლება და უსაფრთხოება“. შეთანხმების მე-15 მუხლი ეძღვნება „ადამიანების მიმოსვლასა და რეადმისიას“ და გულისხმობს მოქალაქეების მობილობის ხელშეწყობას ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებით და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას რეადმისიის შეთანხმების შესრულებით. დოკუმენტი ასევე გულისხმობს სომხეთთან ვიზალიბერალიზაციის დიალოგს მომავალში, თუკი ჩამოყალიბდება კარგად მართული მობილობა[6]. დოკუმენტი ასევე გულისხმობს ორგანიზებულ დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით თანამშრომლობას.

სომხეთთან ვიზალიბერალიზაციის დიალოგის დაწყების პროცესის შეფერხება

2019 წლის თებერვალში სომხეთის მთავრობამ დაამტკიცა ახალი სამთავრობო პროგრამა, რომელშიც ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემოღება მნიშვნელოვან მიზნადაა დასახული[7].

2019 წლის 30 აპრილს სომხეთის პარლამენტის ევროპული ინტეგრაციის მუდმივმა კომიტეტმა მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMDP) ერევნის ოფისის ჯგუფის ხელმძღვანელ კარელ ჰოფსტრას უმასპინძლა. შეხვედრისას ICMDP-ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სომხეთმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბიომეტრული პასპორტების გაცემის, სასაზღვრო კონტროლის გაუმჯობესების და ქვეყნის ჩრდილოეთით, საქართველოსა და სომხეთს შორის სასაზღვრო გამშვები პუნქტების მოდერნიზაციის მიმართულებით[8]. ქვეყნის ჩრდილოეთით, საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვარზე სამი გამშვები პუნქტი - ბაგრატაშენი, ბავრა და გოგავანი - მდებარეობს, რომელთა მოდერნიზაციაც ევროკავშირის დახმარებით განხორციელდა. 2012-2016 წლებში პროექტის „ბაგრატაშენის, ბავრისა და გოგავანის სასაზღვრო გამშვები პუნქტების მოდერნიზაცია“ ფარგლებში, ევროკავშირმა სომხეთს საზღვრის მართვისა და კონტროლის, ასევე უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტურობისა და ინფორმაციის გაცვლის ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით აღმოუჩინა დახმარება[9]. პროექტი მოიცავდა როგორც

---

[5] სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო. სომხეთის ეროვნულმა ასამბლეამ მოახდინა სომხეთსა და ევროკავშირის შორის ახალი ჩარჩო შეთანხმების რატიფიკაცია. https://www.mfa.am/hy/press-releases/2018/04/11/dfm-na-cepa/8126 (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[6] Council of the European Union. 2017. *EU-Armenia Comprehensive and Enhanced Partnership Agreement*. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/eu-armenia_comprehensive_and_enhanced_partnership_agreement_cepa.pdf (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[7] Government of Armenia. 2019. *Government Programme of RA*. https://www.gov.am/files/docs/3133.pdf (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[8] Parliament of Armenia. 2019. *Visa-Liberalisation for Citizens of Armenia with EU Discussed*. http://www.parliament.am/news.php?cat_id=2&NewsID=11489&year=2019&month=04&day=30&lang=eng (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[9] EEAS Homepage. 2016. *Modernisation of Bagratashen, Bavra, and Gogavan Border Crossing Points*. https://eeas.europa.eu/delegations/armenia_en/11233/Modernisation%20of%20Bagratashen,%20Bavra,%20and%20Gogavan%20Border%20Crossing%20Points%20(MBBG) (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

სასაზღვრო კონტროლის ეფექტურად განხორციელებაში დახმარებას, ისე სომხეთსა და საქართველოს შორის სამი სასაზღვრო გამშვები პუნქტის, გზებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლებას[10].

ვიზალიბერალიზაცია პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა საგარეო საქმეთა მინისტრ ზოჰრაბ მნაცაკანიანის ბრიუსელში ვიზიტისას მიცემულ ინტერვიუში 2019 წლის 15 მაისს. ამასთანავე, ევროკავშირის მიერ წამოჭრილი მოგზაურობის ლიბერალიზაციის ბოროტად გამოყენების პრობლემასთან დაკავშირებული რისკების საპასუხოდ მნაცაკანიანმა განაცხადა, რომ მიგრაციის საკითხებზე სომხეთის შესაბამისი სამსახურები თანამშრომლობენ ევროპელ ექსპერტებთან სომხეთის შესაძლებლობების განვითარების დონის შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ სომხეთი უკვე აკმაყოფილებს ვიზალიბერალიზაციის პირობებს და შეუძლია უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ შესაძლო რისკებთან გამკლავება, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყანა მზადაა ვიზალიბერალიზაციის დიალოგის დასაწყებად[11].

ვიზალიბერალიზაციის პროცესის მნიშვნელობის ხაზგასმის მიუხედავად, როგორც ჩანს, ევროკავშირს სომხეთისგან უფრო მტკიცე ნაბიჯებისა და ვალდებულების აღების მოლოდინი აქვს, რომელიც გულისხმობს სომხეთიდან უკანონო მიგრაციის პრობლემის მოგვარებას. ამ და სხვა რეფორმების შედეგად სომხეთმა უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია ქვეყნის მოდერნიზაცია და დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, კანონის უზენაესობაზე დამყარებული მტკიცე საფუძვლების შექმნა, რომლებითაც ევროკავშირის მმართველობის სტანდარტებთან დაახლოებას შეძლებს.

2019 წლის 20 მაისს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ სომხეთის პარტნიორობის იმპლემენტაციის ანგარიშში წარმოდგენილია სომხეთის დადებითი ნაბიჯები მობილობისა და იმ სფეროებში, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს[12]. იმპლემენტაციის ანგარიშში აღიარებულია სომხეთის დამაკმაყოფილებელი შედეგები ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებების შესრულებაში, ასევე ქვეყნის სურვილი დაიწყოს ევროკავშირსა და სომხეთს შორის ვიზალიბერალიზაციის პროცესი. ამასთანავე, ევროკომისია აღნიშნავს 2017 წელს დაბრუნების დაბალი, 27.2%-იანი მაჩვენებლის გაუმჯობესების საჭიროებას (ეს რიცხვი არის ევროკავშირის ქვეყნების გაცემული დაბრუნების მოთხოვნებთან მიმართებით დაბრუნების ფაქტობრივი მაჩვენებელი). კომისია ასევე მიუთითებს მრავალჯერადი ვიზის გაცემის მაჩვენებლის ზრდაზე. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ვიზაზე უარის მაჩვენებელი მცირედით შემცირდა 2017 წელს 12.8%-დან 2018 წელს 11.8%-მდე. უარის ყველაზე ხშირ მიზეზად მოგზაურობის მიზნობრიობის დამადასტურებელი არასაკმარისი დოკუმენტაცია და მოგზაურობის შემდეგ დაბრუნების განზრახვის დამტკიცების სიძნელე დასახელდა[13].

---

[10] European Commission. 2012. *Modernisation of Bagratashen, Bavra, and Gogavan Border Crossing Points.* https://ec.europa.eu/europeaid/blending/modernisation-bagratashen-bavra-and-gogavan-border-crossing-points-mbbg_en (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[11] News.am. 2019. "Armenia's Mnatsakanyan: Visa Liberalization with EU is Very Fundamental Matter to Us." May 15, 2019. https://news.am/eng/news/512683.html (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[12] European Commission. 2019. Partnership Implementation Report on Armenia. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/partnership_implementation_report_armenia.pdf (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[13] იქვე.

რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროებასთან ერთად, სომხეთი ასევე ვალდებულია მიიღოს ანტიდისკრიმინაციული კანონი და მოახდინოს ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სტამბოლის კონვენციის რატიფიკაცია და იმპლემენტაცია. ორივე ღონისძიება სომხეთში დემოკრატიის გაუმჯობესებისა და ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებისთვისაა აუცილებელი. თუმცა სტამბოლის კონვენციის საპარლამენტო მოსმენები 2019 წლის სექტემბრის ნაცვლად, 2020 წლისთვის გადაიდო, ხოლო ანტიდისკრიმინაციული კანონის საჭიროება სომხეთის მთავრობის მიერ აღარ განხილულა.

შენგენის ვიზის განაცხადები სომხეთში: მიგრაციის ნაკადის ახსნა

ევროკავშირსა და სომხეთს შორის ვიზის ფასილიტაციის შეთანხმება

2013 წლის ევროკავშირსა და სომხეთს შორის ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებამ სავიზო განაცხადების დამუშავების და სავიზო მოსაკრებლის, ასევე საჭირო დოკუმენტაციის თვალსაზრისით სომხეთის მოქალაქეებს მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა. შეთანხმების მე-6 მუხლის მიხედვით, სომხეთის მოქალაქეები შემცირებული სავიზო მოსაკრებლით სარგებლობენ და 60 ევროს ნაცვლად 35 ევროს იხდიან, ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება 10 დღეში (ზოგ შემთხვევეში, შესაძლოა პროცესი 30 დღემდე გაგრძელდეს). ამასთანავე, მოქალაქეების გარკვეული კატეგორია, მათ შორის ოფიციალური დელეგაციების, აკადემიის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები, სპორტულ აქტივობებში ჩართული პირები, პენსიონერები და სხვები, სავიზო მოსაკრებლისგან თავისუფლდება (მუხლი 6). გარდა ამისა, მოქალაქეების ბევრი სხვა კატეგორია, ბიზნესის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ევროკავშირში მცხოვრები სომხების ნათესავები სტანდარტიზებული და ვიზის გაცემისთვის საჭირო ნაკლებად მომთხოვნი დოკუმენტებით სარგებლობენ (იხილეთ მუხლი 4)[14].

ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებამ მნიშვნელოვანი სიკეთეები მოიტანა ვიზის ხანგრძლივობის თვალსაზრისითაც. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მრავალჯერადი ვიზა ერთწლიანი მოქმედების უფლებით გაიცემა იმ მოქალაქეებზე, რომლებიც მონაწილეობენ სამეცნიერო და კულტურულ ღონისძიებებში, სტუდენტებზე, ჟურნალისტებზე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე, სამედიცინო მიზნით ევროკავშირში ხშირად მოგზაურ პირებზე, ბიზნესის წარმომადგენლებზე და საერთაშორისო სპორტულ აქტივობებში მონაწილე პირებზე იმ პირობით, რომ გასულ წელს მათზე გაცემულია მინიმუმ ერთი ვიზა და აპლიკანტებს არ აქვთ დარღვეული პირობები. განმცხადებლებმა ასევე შეიძლება მიიღონ მრავალჯერადი ვიზა ორიდან ხუთ წლამდე უფლებით იმ შემთხვევაში, თუ მათ ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოუყენებიათ მრავალჯერადი ვიზა მასპინძელ ქვეყანაში შესვლის და დარჩენის შესახებ კანონების დაცვით[15]. გადაუდებელი შემთხვევების დამტკიცების შემთხვევაში, საკონსულომ

---

[14] Official Journal of the EU. 2013. *Agreement between the European Union and the Republic of Armenia on the Facilitation of the Issuance of Visas*. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:22013A1031(01)&from=EN (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[15] EUR-Lex. 2013. *Agreement between the European Union and the Republic of Armenia on the Facilitation of the Issuance of Visas*. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:22013A1031(01)&from=EN (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

შესაძლოა უზრუნველყოს განაცხადის განხილვა წინასწარ ჩაწერის გარეშე ან დაუყოვნებლივ ჩანიშნოს განმცხადებლის ვიზიტი საკონსულოში.

ვიზის ფასილიტაციისა და გაცემის შესახებ შეთანხმების გამოყენების თვალსაზრისით, ქვეყნები ოთხ კატეგორიად იყოფა:

1. ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც შენგენის შეთანხმების სრულფასოვანი მონაწილეები არიან და ვალდებულნი არიან შეთანხმება სრულად შეასრულონ. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესტონეთი, ესპანეთი, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.
2. ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია შენგენის შეთანხმების სრული მონაწილეები არიან, თუმცა არც ერთი არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა ან ვიზის ფასილიტაციის შეთანხმების მხარე. ამ ქვეყნებმა სომხეთთან ცალკე შეთანხმებები უნდა დადონ ვიზის ფასილიტაციის თაობაზე ევროკავშირსა და სომხეთს შორის შეთანხმების მსგავსი პირობებით. სომხეთმა და ნორვეგიამ მსგავსი შეთანხმება 2015 წელს დადეს[16]. ვიზის ფასილიტაციის ცალკეული შეთანხმება სომხეთსა და შვეიცარიას შორის ძალაში 2016 წელს შევიდა[17]. ისლანდიისა და ლიხტენშტაინის მთავრობებს სომხეთის მთავრობასთან ამგვარი ორმხრივი შეთანხმება ჯერ კიდევ გასაფორმებელი აქვთ.
3. ევროკავშირის წევრი ის ქვეყნები, რომლებიც არ არიან შენგენის ზონის სრული წევრები და სომხეთთან ორმხრივი შეთანხმება უნდა დადონ (გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და დანია). 2018 წლის 14 მარტს კოპენჰაგენში, სომხეთისა და დანიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებას[18].
4. ევროკავშირის ის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც შენგენის შეთანხმებაში გაწევრიანების პროცესში არიან. ამ ქვეყნებს შეუძლიათ გასცენ ეროვნული ვიზა, თუმცა მათ ტერიტორიებზე ასევე მოქმედებს შენგენის ზონის ვიზა (ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი და რუმინეთი).

სომხეთის მოქალაქეებს შენგენის ვიზაზე განაცხადის შეტანა სომხეთში აკრედიტებულ საკონსულოებში შეუძლიათ. საელჩოებს ასევე უფლება აქვთ, მოქალაქეების სავიზო განაცხადების მიღების უფლების დელეგირება მოახდინონ სავიზო ცენტრებზე. ამჟამად სომხეთის დედაქალაქ ერევანში სამი გაერთიანებული სავიზო ცენტრი ფუნქციონირებს, რომლებიც შენგენის ქვეყნებისთვის სავიზო განცხადებებს იღებენ. 2015 წლის მაისში ერევანში გაიხსნა სავიზო ცენტრი, რომელსაც მართავს VFS Global. ცენტრი სავიზო განაცხადებს იღებს ლიეტუვისთვის, ლატვიისთვის, ესტონეთისთვის, ესპანეთისთვის, დანიისთვის, უნგრეთისა და

---

[16] ArmenPress. 2015. "Armenia and Norway to Sign Agreement on facilitation of Visa Issuing Procedure". November 26, 2015. https://armenpress.am/eng/news/827357/armenia-and-norway-to-sign-agreement-on-facilitation-of-visa-issuing-procedure.html (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[17] Federal Department of Foreign Affairs FDFA. 2018. *Bilateral Relations Switzerland-Armenia.* https://www.eda.admin.ch/eda/en/home/representations-and-travel-advice/armenia/switzerland-armenia.html (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[18] ArmenPress. 2019. "Foreign Affairs Ministers of Armenia and Denmark sign the Agreement on the Facilitation of the Issuance of Visas". 14 March 2018. https://armenpress.am/arm/news/926119/hh-ev-daniayi-ag-nakhararnery-storagrel-en-vizaneri-tramadrumy.html (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

საბერძნეთისთვის[19][20]. 2015 წლის ოქტომბერში სომხეთში იტალიის საელჩომ ასევე დაიწყო სავიზო ცენტრთან, კერძოდ კი ერევანში მდებარე TLS Contact-თან თანამშრომლობა, რომელიც განაცხადებს მალტისა და ფინეთის ვიზებისთვის იღებს, რადგან ამ ქვეყნების სახელით ვიზას სწორედ იტალია გასცემს. 2018 წლის აპრილიდან შენგენის ვიზის განაცხადებს გერმანიისთვის, ბელგიისთვის, ნიდერლანდებისთვის, ლუქსემბურგისთვის, ავსტრიისა და შვედეთისთვის იღებს მომსახურების კომპანია VisaMetric, რომელიც გერმანიის საელჩოსთან თანამშრომლობს[21].

სავიზო ცენტრები შეიქმნა ვიზის გაცემის პროცესის ხელშეწყობის მიზნით განაცხადების მზარდი რაოდენობის გამო, რომლის დამუშავებასაც საკონსულოები საკუთარი შესაძლებლობებით ვერ უზრუნველყოფენ. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ სავიზო ცენტრები მხოლოდ სომხეთის დედაქალაქ ერევანში მოქმედებს. თუმცა რთულია ერევანში მოხვედრა სომხეთის სხვა ისეთი დიდი ქალაქებიდან, როგორიცაა გიუმრი (ჩრდილოეთი სომხეთი), ვანაძორი (ჩრდილო-აღმოსავლეთი სომხეთი) ან კაპანი (სამხრეთი სომხეთი). ამასთანავე, განმცხადებლები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას სავიზო ცენტრების მომსახურების დაბალ ხარისხზე, როგორიცაა შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობები და არასათანადო კომუნიკაციის უნარები. სავიზო ცენტრები განმცხადებლებს თითოეულ განაცხადზე დამატებით საფასურს ახდევინებს, რომელიც 20-22 ევროს ფარგლებში მერყეობს.

თუმცა სომხეთის მოქალაქეები ხშირად არ არიან ინფორმირებულნი სავიზო კოდექსის პირობებისა და ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებით უზრუნველყოფილ უფლებებზე. შესაბამისად, სომხეთის ბევრმა მოქალაქემ არ იცის სავიზო მოსაკრებლისგან გათავისუფლების შესაძლებლობის შესახებ. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც საკონსულოები და სავიზო ცენტრები განმცხადებლებს სავიზო მოსაკრებელს ახდევინებენ განმცხადებლებს მიუხედავად იმისა, რომ ისინი უფლებამოსილი არიან გათავისუფლდნენ ამ მოსაკრებლისგან.

ევროკავშირის მხრიდან საზღვრის მართვის შესახებ განახლებული ინფორმაცია

2017 წლის ნოემბერში ევროკავშირმა მიიღო რეგულაცია, რომლითაც შეიქმნა შესვლა-გამოსვლის ახალი სისტემა (EES). სისტემა ელექტრონულად არეგისტრირებს მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლა-გამოსვლის დროსა და ადგილს და მისი ამოქმედება 2020 წლიდან იგეგმება[22]. შედეგად, პასპორტში აღარ იქნება ხელით დარტყმული ბეჭდები. ნაცვლად ამისა, თითოეული მგზავრი ელექტრონულად რეგისტრირდება ბიომეტრული მონაცემების გამოყენებით. დაინერგება თვითმომსახურების სისტემები და ელექტრონული კარიბჭეები, ხოლო მესამე ქვეყნის მოქალაქეებს შეუმოწმებენ მონაცემებს, გადაუღებენ ფოტოსურათს ან აუღებენ თითის ანაბეჭდებს და დაუსვამენ შეკითხვებს. იმ პირებს, რომელთაც ესაჭიროებათ ვიზა, შეეძლებათ ნახონ დარჩენის ნებადართული პერიოდის ხანგრძლივობა. სანამ ვიზიტორები სასაზღვრო

[19] Webpage of the VFS Global. http://www.vfsglobal.com/lithuania/armenia/ (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).
[20] სავიზო განაცხადების გაკეთება შესაძლებელია ლატვიისთვის, ესტონეთისთვის, ესპანეთისთვის, დანიისთვის, უნგრეთისთვის, რადგან სომხეთში ლიეტუვის სალეჩო გასცემს ვიზებს ამ ქვეყნებისთვის.
[21] Webpage of the VisaMetric: https://www.visametric.com/iran/Germany/en/p/about-visametric (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).
[22] EUR-Lex. 2017. *Regulation (EU) 2017/2226 of the European Parliament and of the Council of 30 November 2017 establishing an Entry/Exit System (EES).* https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32017R2226 (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

კონტროლის გასასვლელთან მივლენ, მესაზღვრეს ყველა ეს ინფორმაცია უკვე ექნება და შენგენის ზონაში დაშვებამდე შეეძლება მგზავრს დამატებითი კითხვები დაუსვას[23]. არსებობს მოლოდინი, რომ მოსამზადებელი ღონისძიებების ავტომატიზირებით შესაძლებელი იქნება მესაზღვრეების სამუშაოს მოცულობისა და გრძელი რიგების შემცირება.

ევროკავშირს სამი ცენტრალური საინფორმაციო სისტემა აქვს: შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS), სავიზო საინფორმაციო სისტემა (VIS) და Eurodac. VIS არის იმ ადამიანების ერთიანი და ცენტრალიზებული ბიომეტრული მონაცემთა ბაზა, რომელთაც ვიზაზე განაცხადი მინიმუმ ერთხელ აქვთ შეტანილი. სისტემა გამოიყენება სავიზო განაცხდებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის გაცვლისთვის. Eurodac არის მონაცემთა ბაზა, რომელშიც ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან აღრიცხონ უკანონო მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებელთა თითის ანაბეჭდები იმისათვის, რომ აღირიცხოს ევროკავშირში ამ პირების შესვლის წერტილები და, შესაბამისად, დადგინდეს, რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების განხილვაზე, თუკი ასეთი განაცხადი კეთდება. შენგენის ზონის წევრი სახელმწიფოების საკონსულოები სომხეთში სავიზო საინფორმაციო სისტემაში 2015 წლის 23 ივნისიდან არის გაწევრებული. შენგენის ვიზის განაცხადისთვის წარმოდგენილი ბიომეტრული მონაცემები და სხვა ინფორმაცია რეგისტრირებულია VIS-ის ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში[24].

შენგენის ვიზის განაცხადები სომხეთში: სტატისტიკური მონაცემები და ანალიზი

მსოფლიოს მასშტაბით შენგენის ზონის სახელმწიფოების საკონსულოებმა 2018 წელს 16 მილიონზე მეტი სავიზო განაცხადი მიიღეს[25]. სომხეთის მოქალაქეების შენგენის ვიზის მოთხოვნის მაჩვენებელი 2012 წლიდან სტაბილურად იზრდება.

1-ლი დიაგრამა წარმოადგენს 2012-2018 წლებში სომხეთში შენგენის ზონის სახელმწიფოების საკონსულოების მიერ მიღებული განაცხადების რაოდენობას[26]. აღსანიშნავია, რომ სომხეთში საკონსულოების უმეტესობა ასევე გასცემს ვიზებს შენგენის ზონის სხვა სახელმწიფოების სახელით:

- გერმანიის საელჩო ერევანში ვიზებს გასცემს ავსტრიის, ბელგიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდებისა და შვედეთის სახელით.
- პოლონეთი ვიზებს გასცემს სლოვენიის, სლოვაკეთისა და შვეიცარიის სახელით.
- ლიეტუვის საკონსულო ვიზებს გასცემს ლატვიის, ესტონეთის, დანიის, ესპანეთისა და უნგრეთის სახელით.
- იტალიის საელჩო ვიზებს გასცემს იტალიის, მალტისა და ფინეთის სახელით.

---

[23] European Parliament. 2018. *Smart Borders: EU Entry/Exit System.* http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2016/586614/EPRS_BRI(2016)586614_EN.pdf (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[24] EU Newsletter. 2015. *Fingerprints and digital photo for a Schengen visa.* *http://eunewsletter.am/fingerprints-and-digital-photos-for-schengen-visas-2/* (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[25] Schengen Visa Info. 2019. *Statistics Reveal Schengen Consulates Received Over 16 Million Applications in 2018*. https://www.schengenvisainfo.com/news/statistics-reveal-schengen-consulates-received-over-16-million-applications-in-2018/ (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[26] ჩეხეთის რესპუბლიკამ სომხეთში საკონსულო მომსახურების მიწოდება 2015 წლიდან დაიწყო. შესაბამისად, დიაგრამა 1-ში ჩეხეთის რესპუბლიკის სექციის ქვეშ 2015 წლამდე არსებული მონაცემები არ არის აღნიშნული.

- საფრანგეთი ვიზას გასცემს ნორვეგიის სახელით.

დიაგრამა 1: *2012-2018 წლებში სომხეთში შენგენის საკონსულოების მიერ მიღებული სავიზო განაცხადები*[27]



	France	Germany	Greece	Italy	Lithuania	Poland	Czech Republic
2012	5601	12934	3665	10514	4372	1810	
2013	5235	14900	4559	11200	7419	2045	
2014	5901	13974	6763	9621	11232	4530	
2015	6190	13717	11049	8341	11176	4164	3150
2016	5454	14515	11883	11391	8821	4304	4697
2017	5963	14942	15183	11662	10152	4523	3746
2018	6591	15739	13535	8731	7712	3537	3167

ევროკავშირისა და შენგენის ზონის წევრი ის სახელმწიფოები, რომელთაც საკონსულო წარმომადგენლობა ჰყავთ სომხეთში, არიან: საფრანგეთი, იტალია, ლიეტუვა, საბერძნეთი, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და გერმანია[28]. როგორც 1-ლ დიაგრამაზეა ნაჩვენები, განაცხადების რაოდენობა ყველა საკონსულოში მნიშვნელოვან ზრდას განაგრძობს. ყველაზე დიდი ზრდა ფიქსირდება სომხეთში საბერძნეთის საკონსულოში (3,665-დან 12,535-მდე), პოლონეთის საკონსულოსა (1,807-დან 3,537-მდე) და ლიეტუვის საკონსულოში (4,372-დან 7,712-მდე)[29].

მე-2 დიაგრამაზე წარმოდგენილია სომხეთში შენგენის C ტიპის ვიზაზე გაკეთებული განაცხადების რაოდენობა და უარი (C კატეგორია გულისხმობს მოკლევადიან ვიზას, რომელიც

[27] The numbers are collected from the EU's official statistical data. https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/borders-and-visas/visa-policy_en (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[28] ბულგარეთსა და რუმინეთს სომხეთში აკრედიტებული საკონსულოები აქვთ, თუმცა ჯერ-ჯერობით არ არიან შენგენის ზონის წევრი ქვეყნები და მხოლოდ ეროვნულ ვიზებს გასცემენ.

[29] ჩეხეთის საკონსულომ სომხეთში ოპერირება 2015 წელს დაიწყო; შესაბამისად 2015-2018 წლების მონაცემებია წარმოდგენილი.

მფლობელს შენგენის ზონის სახელმწიფოში ყოფნის უფლებას გარკვეული დროით აძლევს და შესაძლოა გაიცეს, როგორც ერთჯერადი, ისე ორჯერადი ან მრავალჯერადი შესვლის უფლებით. C კატეგორიის მრავალჯერადი ვიზის მფლობელს შენგენის ზონაში დარჩენა 180 დღის პერიოდის განმავლობაში 90 დღის ხანგრძლივობით შეუძლია). 2012 წლიდან სავიზო განაცხადების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება (2012 წელს 38,896-დან 2018 წელს 59,012-მდე). მნიშვნელოვნად იზრდება შენგენის ზონაში სომხეთის მოქალაქეების ვიზიტის რიცხვიც. მე-2 დიაგრამაზე მწვანე ხაზი წარმოადგენს ვიზაზე უარის მაჩვენებელს, რომელიც 2012-2018 წლებში 10%-დან 12.8%-მდე მერყეობდა.

დიაგრამა 2. *ვიზაზე გაკეთებული განაცხადებისა და უარის მაჩვენებელი სომხეთში*[30]



	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
C Visas Applied for	38896	45358	52021	57787	61065	66171	59012
C Visas Refused	3105	5220	5259	7105	6695	8473	6939
Refusal Rate	8.50%	11.51%	10.10%	12.30%	10.90%	12.80%	11.80%

მცირედით გაიზარდა ვიზაზე უარის მაჩვენებელი ბოლო სამი წლის განმავლობაში. სომხეთში აკრედიტებული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დიპლომატებთან არაოფიციალური შეხვედრების მიხედვით, ვიზაზე უარის მიზეზი ძირითადად საჭირო დოკუმენტების, ასევე მოგზაურობის მიზნობრიობის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულების არქონაა. ხშირად განმცხადებლები არ წარადგენენ შესაბამის დოკუმენტაციას საცხოვრებლის და საბანკო ანგარიშის შესახებ, რომელთა მიხედვითაც დასტურდება მოგზაურობისა და უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად საჭირო საკმარისი თანხის არსებობა. როგორც უკვე აღინიშნა, ვიზაზე უარის მიზეზია ასევე ის, რომ განმცხადებლებს უჭირთ იმის დამტკიცება, რომ ვიზის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სომხეთში დაბრუნდებიან.

[30] რიცხვები აღებულია ევროკავშირის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან. https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/borders-and-visas/visa-policy_en (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, რომლებიც უვიზო მიმოსვლით სარგებლობენ: საქართველოს გამოცდილება

აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანას შორის, სამს უკვე აქვს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. მოლდოვა იყო პირველი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით), რომელმაც 2014 წლის აპრილში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის უფლება მოიპოვა, შემდეგი იყო საქართველო 2017 წლის მარტში და უკრაინა - 2017 წლის ივნისში[31]. პირველი 14 თვის განმავლობაში, 2017 წლის 28 მარტს საქართველოსთვის სავიზო მოთხოვნების გაუქმების შემდეგ, 255,400 საქართველოს მოქალაქე გაემგზავრა შენგენის ზონის ქვეყნებში[32]. 2018 წლის დეკემბრამდე ორი მილიონი უკრაინელი გაემგზავრა ევროკავშირში სავიზო მოთხოვნების გარეშე[33]. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმზე გარკვეული შეზღუდვები და მოთხოვნები მოქმედებს: მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ბიომეტრული პასპორტი, დაამტკიცონ რომ აქვთ უკან დასაბრუნებელი ბილეთი და უზრუნველყოფილი აქვთ როგორც სახოვრებელი, ისე საკმარისი თანხები სამოგზაუროდ და უკან დასაბრუნებლად.

უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ისეთი სიკეთეების პარალელურად, როგორიცაა მიმოსვლის თავისუფლება, არსებობს უკანონო მიგრაციის რისკიც (ნებადართული პერიოდის გასვლის შემდეგ ქვეყანაში დარჩენა). უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ბოროტად გამოყენების საკითხის საპასუხოდ, ევროსაბჭომ 2013 წელს შემოიღო შეჩერების მექანიზმი (რეგულაცია N1289/2013), რომელიც განსაზღვრავს პროცედურებს. ამ პროცედურების მიხედვით ევროკავშირის წევრ ქვეყანას შეუძლია პრობლემური საკითხი წამოწიოს და უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შეჩერება მოითხოვოს. რეგულაციებში დამატებითი ცვლილებები 2018 წელს შევიდა. შეჩერება შესაძლებელია უსაფუძვლო თავშესაფრის მოთხოვნის მაჩვენებლის, უკანონოდ მცხოვრები პირების რაოდენობის, ქვეყანაში შესვლაზე უარის მაჩვენებლის უეცარი და მნიშვნელოვანი ზრდის მიზეზით ან იმ შემთხვევებში, თუ არ არსებოს საკმარისად მჭიდრო თანამშრომლობა რეადმისიასთან მიმართებით, მაღალი რისკის შემცველია ან არსებობს გარდაუვალი საფრთხე საჯარო პოლიტიკისთვის ან წევრი სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით სისხლის სამართლის დანაშაულის კუთხით (იხ. რეგულაცია N 2018/1806, დადგენილება 22)[34]. ევროკომისიას შეუძლია უვიზო მიმოსვლის რეჟიმი თავდაპირველად ცხრა თვით შეაჩეროს და ეს პროცესი გააგრძელოს იმ შემთხვევაში, თუ თანხმობას განაცხადებს წევრი ქვეყნების კვალიფიციური უმრავლესობა. შეჩერების პერიოდში კომისიამ და შესაბამისმა სახელმწიფომ სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა უნდა სცადონ.

---

[31] European Commission. N.d. *Visa Liberalization with Moldova, Ukraine and Georgia*. https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/international-affairs/eastern-partnership/visa-liberalisation-moldova-ukraine-and-georgia_en (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[32] News.am. 2018. "Georgian Citizens Traveled to Europe Without a Visa About 358,000 Times". June 29, 2018. https://news.am/arm/news/464103.html (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[33] Government of Ukraine. 2019. *Two Million Ukrainians Benefitted From Visa-Free Travel to the EU Countries.* https://www.kmu.gov.ua/en/news/2-miljoni-ukrayinciv-skoristalisya-bezvizom-pryamuyuchi-do-krayin-yes. (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[34] EUR-Lex. 2018. *Regulation No 2018/1806 of the European Parliament and of the Council of 14 November 2018*. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32018R1806&from=EN (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

დიაგრამა 3. *საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის პირველად მოთხოვნის მაჩვენებელი და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ნორვეგიის, შვეიცარიის, ისლანდიისა და ლიხტენშტაინის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა*[35].



როგორც მე-3 დიაგრამაზეა ნაჩვენები, საქართველოს შემთხვევაში უვიზო მიმოსვლის შემოღების შემდეგ, თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი გაიზარდა. მაჩვენებელი 2016 წელს 7,740-დან 2017 წელს 10,930-მდე გაიზარდა მას შემდეგ, რაც მარტში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა. 2017 წელთან შედარებით 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა და 18,965-ს მიაღწია. მოთხოვნების უმეტესობა უარყოფილ იქნა, რადგან განმცხადებლებმა ვერ წარმოადგინეს მიზეზი, რატომ ემუქრებოდა საფრთხე მათ სიცოცხლესა და თავისუფლებებს საქართველოში.

არსებობს სომხეთის მოქალაქეების მხრიდან უსაფუძვლო თავშესაფრის მოთხოვნის მაჩვენებლის გაზრდის რისკი ან, თუ ქვეყანა მიიღებს უვიზო მიმოსვლის უფლებას, უკანონოდ დარჩენილი პირების რაოდენობის გაზრდის საფრთხე ნებადართული სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ. სომხეთისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მქონე ქვეყნების, მაგალითად, საქართველოს მონაცემების გადახედვა და ანალიზი, ასევე მათი გამოცდილებისა და უარყოფითი შედეგების შესამცირებლად გატარებული ღონისძიებების შესწავლა. მეტიც, სომხეთს შეუძლია უკვე დაიწყოს უსაფუძვლო თავშესაფრის მოთხოვნების პრობლემისა და სომხეთის მოქალაქეების მხრიდან უკანონო მიგრაციის პრობლემის მოგვარება ვიზალიბერალიზაციის პროცესისა და პოტენციური რისკების შემცირებისადმი მზადყოფნის გამოხატვის მიზნით.

[35] მონაცემები აღებულია ევროკავშირის Eurostat-ის სტატისტიკური ოფისიდან. http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=migr_asyappctza&lang=en (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება: ბიომეტრული პასპორტების შემოღება

ვიზის ფასილიტაციის პროცესის ფარგლებში, 2012 წლის აპრილში სომხეთმა შემოიღო ორი ახალი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ელექტრონული ხელმოწერით, რომლის გამოყენებაც ქვეყნის შიგნით შეიძლება, და ბიომეტრული პასპორტი ელექტრონული ჩიპით საზღვარგარეთ სამოგზაუროდ. ბიომეტრულ პასპორტში ბიომეტრული მონაცემებია, ე.ი. პასპორტის მფლობელის ფოტოსურათი და თითის ანაბეჭდები და, შესაბამისად, სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე პირი უფრო მარტივად იდენტიფიცირდება. ბიომეტრული პასპორტი დაახლოების 25,000 სომხური დრამი (დაახლოებით 50 ევრო) ღირს, ხოლო პასპორტი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ერთად დაახლოებით 28,000 სომხური დრამი (53 ევრო). ორივე დოკუმენტი შეესაბამება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებთან.

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ სომხეთის მთავრობა ხშირად ავადებს ბიომეტრულ პასპორტზე სრულად გადასვლის პროცესს. სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის გადაწყვეტილებით, 2014 წლის იანვრიდან ის მოქალაქეები, რომლებიც მიიღებენ ახალ პასპორტს, გადაეცემათ ბიომეტრული დოკუმენტი. თუმცა ეს გადაწყვეტილება შეიცვალა და ამჟამად გაიცემა როგორც ტრადიციული, ისე ბიომეტრული პასპორტები და სომხეთის მოქალაქეებს აქვთ არჩევნის საშუალება. სომხეთის მოქალაქეებს შეუძლიათ გააგრძელონ საზღვარგარეთ მოგზაურობა ძველი პასპორტებითაც.

2016 წლის აგვისტოში პოლიციის პასპორტებისა და ვიზის დეპარტამენტის უფროსმა მნაცაკან ბიჩახჩიანმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ სომხეთში ორივე ტიპის პასპორტი (ტრადიციული და ბიომეტრული პასპორტი) კანონიერია. სომხეთმა არ მოითხოვა ძველი პასპორტების ახლით ჩანაცვლება, რადგან მოქალაქეების ნაწილმა უარი განაცხადა ბიომეტრული პასპორტისთვის თითის ანაბეჭდების აღებაზე რელიგიური მოსაზრებების საფუძველზე. შესაბამისად, სომხეთმა საკუთარ მოქალაქეებს ნება დართო ისარგებლონ ძველი პასპორტებით (1998 წლის 25 დეკემრის N821 დადგენილების შესაბამისად) 2019 წლის პირველ იანვრამდე[36]. ამ თარიღის მოახლოებასთან ერთად, მსგავსი განხილვები გაიმართა 2018 წლის აგვისტოში, როდესაც იუსტიციის სამინისტრომ დაანონსა საჯარო განხილვები პირადობის დამადასტურებელი მოწმობების შესახებ და სომხეთის მოქალაქეების პასპორტის შესახებ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. 2018 წლის 7 სექტემბერს სომხეთის პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა კანონში, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა ტრადიციული პასპორტების 2021 წლის პირველ იანვრამდე გაცემა. ძველი პასპორტების კანონიერი ძალის დაკარგვის გადავადება აიხსნა ბიომეტრული პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების დამამზადებელი კომპანიის შესარჩევად ახალი ტენდერის ორგანიზების საჭიროებით[37].

ევროკავშირთან ვიზის ფასილიტაციის შესახებ შეთანხმებაში არ არსებობს ჩანაწერი ბიომეტრული პასპორტის შესახებ, შესაბამისად, ბიომეტრული პასპორტის ქონა არ არის

---

[36] Zakaryan, A. 2016. "Biometric Passports are no Longer Required, Old-Type Passport Will be Issued to Citizens". August 3, 2016. https://www.armtimes.com/hy/article/90836 (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).
[37] IravabanNet. 2018. "Old-specimen Passports will be Issued up to 1 January 2021". August 24, 2018. https://iravaban.net/199667.html (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

აუცილებელი ვიზის ფასილიტაციის შესახებ შეთანხმებით უზრუნველყოფილი სარგებლის მისაღებად. თუმცა ვიზალიბერალიზაციის პროცესისთვის ბიომეტრული პასპორტის გაცემა სავალდებულო გახდება, რადგან მხოლოდ ბიომეტრული პასპორტის მფლობელებს შეეძლებათ ევროკავშირში უვიზოდ მოგზაურობა.

ბიომეტრულ პასპორტთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია მონაცემთა დაცვა, რადგან ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი მონაცემთა დაცვა ვიზალიბერალიზაციის ერთ-ერთი მოთხოვნა იქნება. თუმცა 2015 წლის სომხეთის რესპუბლიკის კანონი პერსონალური მონაცემების დაცვაზე ცვლილებას საჭიროებს, რადგან ამ დროისთვის კანონი პირადი მონაცემების მესამე მხარისთვის გადაცემას და ამ ინფორმაციაზე წვდომას პირის თანხმობის გარეშე საკმაოდ ხელმისაწვდომს ხდის (მუხლი 26). პირადი მონაცემები შესაძლოა მესამე მხარეს გადაეცეს პირის თანხმობის გარეშე, თუკი ეს კანონითაა გათვალისწინებული ან რეგულირებულია ქვეყნებს შორის არსებული შეთანხმებით. რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სამსახურის საზღვრის კონტროლის დეპარტამენტს წვდომა აქვს სომხეთის საზღვრის კონტროლის სამსახურის მონაცემებთან პირების სომხეთიდან და სომხეთში მოგზაურობის შესახებ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რუსეთი წვდომა აქვს ინფორმაციაზე თუ ვინ კვეთს სომხეთის საზღვარს, რა არის მოგზაურობის მიმართულება, ტრანსპორტირების საშუალება და სამოგზაურო კომპანია, ასევე პირის პირადობის დამდასტურებელი მოწმობები[38]. როგორც უკვე აღინიშნა, მონაცემთა დაცვა ევროკავშირის ერთ-ერთი ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომელიც სომხეთმა უნდა დაიცვას იმისათვის, რომ შეძლოს ვიზალიბერალიზაციის მოპოვება.

ამასთანავე, არ არსებობს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი სამსახური. სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური სახელმწიფო ინსტიტუტია. სააგენტოს წესდების მიხედვით, სამსახურის ერთ-ერთი მთავარი მიზანი პერსონალური მონაცემების დაცვაზე სომხეთის რესპუბლიკის კანონის აღსრულებაა[39]. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, კანონი მესამე ქვეყნებს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის საშუალებას აძლევს. ამასთანავე, ის ფაქტი, რომ სააგენტო სახელმწიფო ინსტიტუტია, ხაზს უსვამს სომხეთში პერონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

[38] Open Society Foundations, Armenia. n.d. *Personal Data Protection Issues in Armenia and Georgia*. http://www.osf.am/wp-content/uploads/2017/01/Article-5-RT-Personal-data_eng.pdf (Accessed 12 Sept. 2019).
[39] Ministry of Justice of RA. *Statute of Agency for Protection of Personal Data of the Ministry of Justice*. http://www.justice.am/en/structures/view/structure/32 (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

ევროკავშირსა და სომხეთს შორის რეადმისიის შეთანხმების შესრულება: დაბრუნება და რეინტეგრაცია

თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადებები სომხეთიდან

სომხეთთან ვიზალიბერალიზაციის დიალოგის დაწყება სხვა ძირითად ფაქტორებთან ერთად დიდწილად დამოკიდებული იქნება სომხეთის მზადყოფნაზე, ხელი შეუწყოს ევროკავშირის სახელმწიფოებში უკანონო სტატუსის მქონე სომხეთის მოქალაქეების დაბრუნებას. ამ კონტექსტში, რეადმისიის შეთანხმებები ეფექტური იარაღია, რადგან მსგავსი შეთანხმებები შესაძლებელს ხდის იმ პირების ამოცნობას, რომლებიც არ ან აღარ აკმაყოფილებენ შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის ან დარჩენის/ცხოვრების პირობებს[40]. ევროკავშირსა და სომხეთს შორის რეადმისიის შეთანხმებით, სომხეთი ვალდებულია მიიღოს საკუთარი მოქალაქეები, ასევე მესამე ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე ის პირები, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყანაში სომხეთის გავლით მოხვდნენ. 2013 წლის ევროკავშირსა და სომხეთს შორის რეადმისიის შეთანხმებამდე, სომხეთმა ხელი მოაწერა რეადმისიის შეთანხმებას ევროკავშირის წევრ ცალკეულ ქვეყნებთან. რეადმისიის შეთანხმება მოქმედებს ლატვიასთან, დანიასთან, ლიეტუვასთან, გერმანიასთან, ბულგარეთთან, შვედეთთან, ჩეხეთის რესპუბლიკასთან და შვეიცარიასთან. 2018 წლის ივნისში რეადმისიის შეთანხმებას ხელი მოეწერა ბენილუქსის ქვეყნებთანაც.

დიაგრამა 4. *სომხეთის მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის პირველად მოთხოვნის მაჩვენებელი და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ნორვეგიის, შვეიცარიის, ისლანდიისა და ლიხტენშტაინის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა*[41].



[40] EUR-Lex. 2013. *Agreement on the Readmission of Persons Residing without Authorization between the EU and Armenia*. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A22013A1031%2802%29 (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

[41] მონაცემები აღებულია ევროკავშირის Eurostat-ის სტატისტიკური ოფისიდან: http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=migr_asyappctza&lang=en (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთის ის მოქალაქეები, რომელთაც სურთ იცხოვრონ, იმუშაონ, მიიღონ სამედიცინო სერვისი ან სხვა მხრივ დასახლდნენ ევროკავშირში, ხშირად იყენებენ ან ბოროტად იყენებენ ევროკავშირის თავშესაფრის სისტემას, შეიძლება ითქვას, რომ დაბრუნების/რეადმისიის ტრენდი არ შემცირდება. მე-4 დიაგრამაზე წარმოდგენილია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ისლანდიასა და ლიხტენშტაინში სომხეთის მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის პირველად მოთხოვნის მაჩვენებელი. დიაგრამაზე ასევე ასახულია დადებითად მიღებული გადაწყვეტილებების მაჩვენებელი. 2012-2015 წლებში თავშესაფარზე პრიველად გაკეთებული განაცხადდების რაოდენობა 4000-დან 5000-მდე მერყეობდა. თავშესაფრის მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალი იყო 2016 წელს (7795). მაჩვენებელი ოდნავ, 6875-მდე, შემცირდა 2017 წელს და 2018 წელს 4855-ს მიაღწია.

თავშესაფრის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირებს უფლება აქვთ უარყოფითი გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივრონ. იმ შემთხვევაში, თუ ასე არ მოიქცევიან, ან თუკი სასამართლო დაეთანხმება უარყოფით გადაწყვეტილებას, თავშესაფრის მაძიებლები იღებენ დაბრუნების მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ტერიტორია ოთხი კვირის განმავლობაში უნდა დატოვონ (დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წევრ სახელმწიფოზე და თავშესაფრის მოთხოვნის გარემოებებზე). თუკი პირები ქვეყანას ნებაყოფლობით დატოვებენ, ისინი ფინანსურ დახმარებას მიიღებენ. სხვა შემთხვევაში მათ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დეპორტაცია ემუქრებათ.

დიაგრამაზე წარმოდგენილია პოზიტიური გადაწყვეტილებების შედარებით დაბალი მაჩვენებელი, რომელიც იმაზე მიანიშნებს, რომ სომხეთის მოქალაქეების დიდი რაოდენობა არაკეთილსინდისიერად იყენებს ევროკავშირის თავშესაფრის სისტემას და სარგებლობს თავშესაფრის მაძიებლებისთვის განკუთვნილი სიკეთეებით (საცხოვრებელი, სამედიცინო მომსახურება, სკოლა ბავშვებისთვის, საკვები და ფულადი დახმარება). თუმცა ძალიან ცოტა მოქალაქე იღებს ამ სტატუსს. აღსანიშნავია, რომ თავშესაფრის მაძიებელთა დიდი რაოდენობა დაკავშირებულია რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებასთან სომხეთში. თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი გაიზარდა 2016 და 2017 წლებში მაშინ, როდესაც ქვეყანაში თავისუფლებები თანდათან შემცირდა. ჟურნალისტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეები ხშირად ხდებოდნენ თავდასხმის მსხვერპლნი ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გასაპროტესტებლად გამართულ დემონსტრაციებზე. 2018 წელს სომხეთიდან თავშესაფრის პირველად მომთხოვნთა რიცხვი შემცირდა, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებას, კერძოდ კი 2018 წლის ხავერდოვან რევოლუციას უკავშირდება. ძალაუფლების ცვლილებამ სომხეთის მოქალაქეებს ახალი იმედები და მოლოდინები გაუჩინა.

რეადმისიის მოთხონები: 2018 წლის სტატისტიკა

სომხეთის მიგრაციის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ბოლო წლებში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან გაკეთებული რეადმისიის მოთხოვნები მკვეთრად გაიზარდა. 2015 წელს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან ჯამში 146 მოთხოვნა გაკეთდა, ხოლო 2018 წელს მოთხოვნების რაოდენობამ 989 შეადგინა.

დიაგრამა 5: *2012-2018 წლებში მიღებული რეადმისიის მოთხოვნები*[42]



2014 წელს ევროკავშირის წევრმა მხოლოდ ორმა ქვეყანამ (შვედეთი და პოლონეთი) გაგზავნა რეადმისიის მოთხოვნა, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი რვამდე გაიზარდა. პასუხების 80%-მა დაადასტურა, რომ ეს პირები სომხეთის მოქალაქეები იყვნენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში, გერმანია რეადმისიის მოთხოვნების გამგზვნი ქვეყნების სიის სათავეში მოექცა: 2017 წელს ქვეყანამ 499 მოთხოვნა გაგზავნა (1,022 პირზე), ხოლო 2018 წელს - 681 (1,385 პირზე).

1-ლ ცხრილში წარმოდგენილია მოთხოვნის გაგზავნის მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით და იმ პირების რიცხვი, რომელთა მოქალაქეობის დადასტურებაც მოხერხდა. თავშესაფარზე მოთხოვნის გაკეთებისას, სომხეთის ზოგიერთი მოქალაქე წარმოადგენს ინფორმაციას წარმოშობის ქვეყანასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც სხვები არ ამხელენ მსგავს ინფორმაციას და პერსონალური დოკუმენტების განადგურებას არჩევენ. სომხეთის მთავრობამ გამოხატა თანამშრომლობისა და დახმარების ნება სომხეთის მოქალაქეების იდენტიფიცირების საქმეში.

[42] დიაგრამაზე მოცემული მონაცემები ACGRC-ს მიაწოდა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მიგრაციის სამსახურმა.

მაჩვენებლები ხაზს უსვამს სომხეთის მთავრობის რეადმისიის კუთხით თანამშრომლობის მზადყოფნას.

ცხრილი 1: *მიღებული რეადმისიის მოთხოვნები ქვეყნების მიხედვით, 2018*[43]

მომთხოვნი ქვეყანა	მოთხოვნაში აღნიშნული პირების რაოდენობა	დადასტურებული მოქალაქეობის მქონე პირების რაოდენობა	პოზიტიური პასუხის პროცენტული მაჩვენებელი
ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები (ჯამი)	1995	1670	83.37%
ავსტრია	182	116	63.74%
ბელგია	44	43	93.48%
ბულგარეთი	3	1	50.00%
გერმანია	1385	1211	86.50%
პოლონეთი	38	30	90.91%
ნიდერლანდები	139	109	77.30%
შვედეთი	78	50	64.94%
საფრანგეთი	126	110	90.16%

** დადებითი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი დაანგარიშებულია დადასტურებული მოქალაქეობის მქონე პირებისა და დადასტურებული მოქალაქეობის არმქონე პირების რაოდენობის დაჯამებით მოცემული წლის განმავლობაში.*

Eurostat-ის მონაცემების მიხედვით, 2017 წელს - 1455, ხოლო 2018 წელს 1935 პირი დაბრუნდა სომხეთში[44]. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ დაბრუნებულთა მაჩვენებელი მოიცავს როგორც ნებაყოფლობით, ისე იძულებით დაბრუნებულთა რაოდენობას, თუმცა ევროკავშირის ბევრ ქვეყანას არ აქვს სათანადო სისტემა ნებაყოფლობით დაბრუნებულ პირთა აღსაწერად. ხშირად დაბრუნების მოთხოვნა გაიცემა ერთ წელს, თუმცა პირი ბრუნდება მომდევნო წელს, განსაკუთრებით თუ დაბრუნება იძულებითია. შესაბამისად, რიცხვები შესაძლოა განსხვავებული იყოს. 2017 წელს პარტნიორობის იმპლემენტაციის ანგარიშის მიხედვით დაბრუნების მაჩვენებელი 29% იყო[45]. ეს მაჩვენებელი 2018 წელს 49%-მდე გაიზარდა. უკან დაბრუნებული პირების გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი პოზიტიური ტრენდია, რომელიც ევროკავშირსა და სომხეთს შორის საზღვრის მართვის მიმართულებით გაუმჯობესებულ თანამშრომლობასა და სომხეთის მხრიდან საკუთარი მოქალაქეების მიღების კუთხით მზადყოფნაზე მიანიშნებს. პარტნიორობის იმპლემენტაციის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ რეადმისიის შემთხვევების მართვის ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებას 2019 წლის

[43] ცხრილში მოცემული მონაცემები ACGRC-ს მიაწოდა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მიგრაციის სამსახურმა.
[44] მონაცემები აღებულია ევროკავშირის Eurostat-ის სტატისტიკური ოფისიდან: http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=migr_eirtn&lang=en (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).
[45] European Commission. 2019. Partnership Implementation Report on Armenia. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/partnership_implementation_report_armenia.pdf (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

დასაწყისში დაიწყებს, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს უახლოეს მომავალში რეადმისიის განაცხადების სავარაუდოდ გაზრდილი მაჩვენებლის მართვას[46].

ევროკავშირსა და სომხეთს შორის რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში რეადმისიის მოთხოვნების დღითი დღე მზარდი რაოდენობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მათ შორის იმ ქვეყნებში, რომელთაც 2015 და 2016 წლებში მიგრანტების დიდი რაოდენობა მიიღეს, მაგალითად, გერმანიაში, ავსტრიასა და შვედეთში, მიგრაციის პოლიტიკის გამკაცრებას უკავშირდება. კიდევ ერთი მიზეზი დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ თავშესაფრის სამსახურები პრიორიტეტს იმ ქვეყნების მოქალაქეებს ანიჭებენ, რომელთაც აქვთ მაღალი და დაბალი აღიარების მაჩვენებლები, რადგან ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილებების მიღება უფრო მარტივია. სომხეთის მოქალაქეები ამ უკანასკნელ კატეგორიაში სწორედ ამ მიზეზით ხვდებიან. თუმცა დაბალი აღიარების მაჩვენებლის მიზეზი არის ის, რომ სომხეთში იშვიათია პოლიტიკური რეპრესიებისა და თავშესაფრის მიღებისთვის აუცილებელი საფუძვლის მქონე შემთხვევები.

დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამები

ამჟამად, სომხეთში მოქმედი რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციისა და ინტეგრაციის საფრანგეთის ოფისი, ფრანგულ-სომხური განვითარების ფონდი, Armenian Caritas და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი ახორციელებს რეინტეგრაციის პროგრამებს, რომელთა ბენეფიციარებიც ევროკავშირის სახელმწიფოებიდან იძულებით დაბრუნებული მიგრანტები არიან. სომხეთში რეინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამები ბენეფიციარებს სთავაზობს დახმარებას ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: ინფორმაცია და კონსულტაციები, შესაბამის სტრუქტურებთან გადამისამართება, სოციალურ და ჯანმრთელობის საჭიროებებში დახმარება, პროფესიული ტრენინგი და მცირე ბიზნესის გრანტები. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ მოიპოვება ინფორმაცია ამ პროგრამებთან დაკავშირებულ დეტალებზე და იმ ადამიანების რაოდენობაზე, რომლებმაც ისარგებლეს რეინტეგრაციის პროგრამებით.

2018 წლის 8 ნოემბერს ევროპის დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ქსელის მიერ სომხეთში მნიშვნელოვანი პროექტი „სომეხი მიგრანტების დახმარება დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროცესში“ დაიწყო[47]. პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით 400 დაბრუნებული მიიღებს ინფორმაციას, რჩევას, ასევე პირდაპირი სოციალური და ეკონომიკური დახმარების სხვადასხვა მექანიზმს და გადამისამართდებიან შესაბამის სამსახურებში რეინტეგრაციის საკითხებზე. პროგრამა სამშობლოში დაბრუნებულებს არა მხოლოდ პრაქტიკულ მხარდაჭერას აღმოუჩენს, არამედ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შესაძლებლობების განვითარებაში დაეხმარება.

---

[46] იქვე.
[47] ERRIN webpage. 2018. *Government to Government Cooperation.* https://returnnetwork.eu/post_type_activities/government-to-government-cooperation/ (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

რეინტეგრაციის ერთი ფანჯრის სერვისი

2018 წლის 22 თებერვალს ფრანგულ-სომხურ განვითარების ფონდსა და ტერიტორიული ადმინისტრირებისა და განვითარების სამინისტროს მიგრაციის სამსახურს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს მოეწერა ხელი. მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და სომხეთში დაბრუნებული მიგრანტების მხარდაჭერის გაგრძელება „ერთი ფანჯრის“ სერვისით იმის მიუხედავად, ნებაყოფლობით არიან პირები დაბრუნებულები თუ იძულებით. „ერთი ფანჯრის“ პრინციპი უზრუნველყოფს ბენეფიციარებისთვის საჭირო ყველანაირი სერვისის ერთი ადგილიდან მიწოდებას. სერვისი სამშობლოში დაბრუნებულებს რეინტეგრაციის პროგრამებზე, პროგრამების შემსრულებელ ორგანიზაციებზე, შემოთავაზებული დახმარების ტიპებსა და დაბრუნებასა და რეინტეგრაციაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებზე აწვდის ინფორმაციას.

პირველი ცხრა თვის განმავლობაში მიღებულ იქნა დაბრუნებული 44 მიგრანტის განაცხადი, რომლებიც გადანაწილდნენ რეინტეგრაციის პროგრამებზე. მათ შორის იყო 38 მიგრანტი გერმანიიდან, სამი საფრანგეთიდან, ორი ავსტრიიდან და ერთი პოლონეთიდან. 44 მიგრანტიდან მხოლოდ 13 დაბრუნდა სამშობლოში ნებაყოფლობით, დანარჩენი კი იძულებით დააბრუნეს[48]. ჯამში საჭირო კონსულტაცია და გადამისამართების სერვისი 72 მოქალაქეს გაეწია. ისინი გადამისამართდნენ არა მხოლოდ კონკრეტულ პროგრამებზე რეინტეგრაციისათვის საჭირო მხარდაჭერის მისაღებად, არამედ სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურსა და სტრუქტურებთან, მაგალითად, სომხეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს დასაქმების სააგენტოსთან, სოციალური დაცვის სახელმწიფო სამსახურთან, სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთან, სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სამოქალაქო სტატუსის აქტების სარეგისტრაციო სააგენტოსა და პოლიციის პასპორტებისა და ვიზის დეპარტამენტთან.

[48] რეინტეგრაციის მრჩეველი რეინტეგრაციის „ერთი ფანჯრის“ სერვისში.

დასკვნა და რეკომენდაციები

სომხეთმა ევროკავშირთან ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებებს მოაწერა ხელი, რაც ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლისთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ვიზის ფასილიტაციის შეთანხმება სომხეთის მოქალაქეებისთვის არაერთი სიკეთის მომტანია, რომელიც, მაგალითად, გულისხმობს შემცირებულ სავიზო მოსაკრებელსა და ვიზის გაცემის დაჩქარებულ პროცედურას. ამასთანავე, სომხეთის სახელმწიფო უწყებებმა გააუმჯობესეს თანამშრომლობა ევროკავშირთან რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში. გაიზარდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან სომხეთის მთავრობისთვის წარმოდგენილი რეადმისიის მოთხოვნების რაოდენობა.

ამავდროულად არსებობს ხარვეზები და პრობლემები, რომელთა აღმოფხვრაც საჭიროა იმისათვის, რომ სავიზო განაცხადებზე უარის მაჩვენებელი შემცირდეს და დაიწყოს ვიზალიბერალიზაციის დიალოგი. მაგალითად, მცირე ხნის წინ ბიომეტრულ პასპორტებზე სრულად გადასვლა, უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მნიშვნელოვანი წინაპირობა, გადაიდო გამოცხადებული ტენდერების მიზეზით.

მცირედით გაიზარდა შენგენის ვიზაზე უარის მაჩვენებელი ძირითადად ვიზაზე განაცხადის შეტანისას სომხეთის მოქალაქეების მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტების შეუსაბამობის გამო. ასევე არსებობს რისკი, რომ გაიზრდება სომხეთიდან თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვიც. წინამდებარე თავში წარმოდგენილია ღონისძიებები, რომლებიც სომხეთს ევროკავშირთან ვიზის ფასილიტაციასა და ლიბერალიზაციის პროცესში დაეხმარება.

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა

<u>სავიზო დიალოგის დასაწყებად აუცილებელ დემოკრატიულ რეფორმებზე:</u>

- იმისათვის, რომ დაჩქარდეს ვიზალიბერალიზაციის დიალოგი, სომხეთის სახელმწიფო უწყებებმა უნდა მიიღონ ანტიდისკრიმინაციული კანონი და სტამბოლის კონვენცია. სტამბოლის კონვენციაზე საპარლამენტო მოსმენა 2019 წლის სექტემბრიდან 2020 წლის გაზაფხულისთვის გადაიდო. ანტიდისკრიმინაციული კანონი საპარლამენტო მოსმენების განსახილველ საკითხთა სიაში ჯერ კიდევ არ არის.

<u>პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე:</u>

- უნდა შემუშავდეს სპეციალური პროცედურები ბიომეტრული მონაცემების დამუშავების, შენახვის, მიწოდების და გამოყენების მიზნით. ამჟამად ბიომეტრული მონაცემები მუშავდება და ინახება სომხეთის პოლიციაში. თუმცა უნდა არსებობდეს ცალკე მდგომი კომპეტენტური სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც ამ პროცედურებს შეასრულებს და უზრუნველყოფს ბიომეტრული მონაცემების კიბერდაცვას.
- უნდა გაუმჯობესდეს პერსონალური მონაცემებს დაცვის შესახებ სომხეთის რესპუბლიკის კანონი; კერძოდ, უნდა დაზუსტდეს სხვა ქვეყნებისთვის ბიმეტრული მონაცემების გადაცემის საფუძვლები და პროცედურები.
- უნდა იყოს უზრუნველყოფილი იუსტიციის სამინისტროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოს დამოუკიდებლობა. ამისათვის აუცილებელია სააგენტო ცალკე სახელმწიფო

ორგანოდ, იუსტიციის სამინისტროსგან დამოუკიდებლ სამსახურად ჩამოყალიბდეს, რომელიც ანგარიშვალდებული პრემიერმინისტრის წინაშე იქნება, ხოლო მის კონტროლს სომხეთის პარლამენტი განახორციელებს. უნდა არსებობდეს საზოგადოებისთვის ანგარიშის წარდგენის პრაქტიკა, რომელიც ეროვნული ასამბლეისთვის ყოველწლიური ანგარიშების წარდგენასა და გამოქვეყნებაში გამოიხატება.

ეს ყველაფერი მონაცემთა დაცვის უფრო ეფექტურ დანერგვას უზრუნველყოფს და ინსტიტუტს უფრო დამოუკიდებელს გახდის ისეთი უწყებებისგან, როგორიცაა პოლიცია და სომხეთის საზღვრის მართვის სამსახური და ხელს შეუწყობს მესამე ქვეყნებისთვის ბიომეტრული მონაცემების გაცემის შეზღუდვას.

<u>ბიომეტრული პასპორტების გაცემაზე:</u>

- უზრუნველყოფილ იქნას ბიომეტრიული პასპორტის გაცემის პროცესის უწყვეტობა. ფასის შეთავაზების, ტენდერის გამოცხადებისა და ახალი კონტრაქტის შედგენის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა დაცული უნდა იყოს.
- ბიომეტრული პასპორტის მოსაკრებელი უნდა შემცირდეს იმისათვის, რომ ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისთვის. ბიომეტრული პასპორტი 25,000 სომხური დრამი (დაახლოებით 50 ევრო) ღირს, რომელიც სომხეთისთვის, სადაც საშუალო თვიური ხელფასი 168,150 სომხური დრამია (დაახლოებით 320 ევრო)[49], საკმაოდ მაღალი ფასია.

<u>ევროკავშირიდან დაბრუნებული სომხეთის მოქალაქეების რეინტეგრაციაზე:</u>

- სომხეთში რეინტეგრაციის არაერთი პროგრამის არსებობის მიუხედავად, არ არსებობს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა. ამ მიზნით, ჩვენი შეთავაზებაა, რომ ევროკავშირსა და სომხეთს შორის რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში შემუშავდეს სამოქმედო გეგმა სომხეთში დაბრუნებული სომხეთის მოქალაქეებისთვის, რომელშიც გაწერილი იქნება კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი უწყებები და იმპლემენტაციის განრიგი.
- გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მიგრაციის სფეროში სომხეთის მთავარი გამოწვევა უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებული რისკებისა და შედეგების შესახებ ცნობიერების დაბალი დონეა.

<u>შენგენის სავიზო განაცხადებზე:</u>

- სომხეთის მთავრობამ უნდა დაიწყოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები შენგენის ვიზაზე განაცხადის შეტანის თაობაზე. კამპანიებში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ვიზისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადებასა და შეგროვებაზე და რჩევები არასწორი ინფორმაციის ან დოკუმენტების მიწოდებაზე; ასევე ინსტრუქციები ვიზის მიღების შემდეგ დოკუმენტებების ცვლილებისგან თავის შეკავების თაობაზე (მაგალითად, დანიშნულების ქვეყნის ცვლილება), რადგან ასეთ შემთხვევებში შესაძლოა ვიზა გაუქმდეს ან პირი საზღვარზე საერთოდ არ დაიშვას.

---

[49] საშუალო ხელფასი 2018 წლის იანვრის მონაცემებით. ხელმისაწვდომია სომხეთის ეროვნული სტატისტიკის სამსახურში: https://www.armstat.am/file/article/sv_02_18a_142.pdf (წვდომის თარიღი 12 სექტემბერი, 2019).

სომხური სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო დონორები

<u>შენგენის ვიზის წესების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე:</u>

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა გაავრცელონ მასალები შენგენის ვიზის განაცხადის მოთხოვნებისა და ამ მოთხოვნების მიმართ ყურადღების გამოჩენის აუცილებლობის შესახებ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ასევე უნდა მოაწყონ ტრენინგები სომხეთის მოქალაქეებისთვის ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებით უზრუნველყოფილი უფლებების თაობაზე.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ასევე უნდა ჩაატარონ შენგენის სავიზო კოდექსის, სომხეთსა და ევროკავშირს შორის რეადმისიის შეთანხმების და უკანონო მიგრაციის შედეგების შესახებ საინფორმაციო კამპანიები. მსგავსი საინფორმაციო კამპანიები სომხეთის მოსახლეობაში გაზრდის ცნობიერებას და შეამცირებს სომხეთიდან უკანონო მიგრაციას.

<u>შემდგომი რეფორმებისთვის სომხეთის მთავრობის მონიტორინგზე:</u>

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებების მთავრობის მხრიდან შესრულების, ასევე უვიზო მიმოსვლის დიალოგის დაწყებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების მონიტორინგი. ეს სომხეთის მთავრობას ევროკავშირსა და სომხეთს შორის მობილობის მიმართულებით თანამშრომლობასა და ვიზის დიალოგის ეტაპის სწრაფად დაწყებაში დაეხმარება.

ევროკავშირი

<u>ვიზის ფასილიტაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით ევროკავშირისა და სომხეთის თანამშრომლობაზე:</u>

- ევროკავშირმა მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს მოთხოვნებთან დაკავშირებით და უნდა დაიწყოს ევროკავშირისა და სომხეთის სავიზო დიალოგის პროცესი. ევროკავშირმა ვიზისა და მიგრაციის პროცესებში აქტიურად უნდა ჩართოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სომხეთიდან, კერძოდ, უნდა გაეწიოს ზედამხედველობა და შეფასდეს სომხეთის სახელმწიფო უწყებების მხრიდან ამ სფეროებში გატარებული რეფორმები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა ევროკავშირსა და სომხეთს შორის მოლაპარაკებებსა და ოფიციალურ პროცესებში ხაზგასმულია CEPA-ში.
- CEPA-ს ფარგლებში ევროკავშირმა უნდა შეიმუშაოს პლატფორმა ევროკავშირსა და სომხეთის მთავრობას შორის ვიზის ფასილიტაციისა და სავიზო დიალოგის ეტაპის შესახებ, რომელშიც ჩართული იქნება ამ თემაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ამასთანავე, ვიზის ფასილიტაციისა და ლიბერალიზაციის თაობაზე სომხეთის სახელმწიფო უწყებების მიერ ორგანიზებულ დისკუსიებსა და მოსმენებზე უნდა მიიწვიონ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

<u>ევროკავშირსა და სომხეთს შორის ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებასა და სავიზო განაცხადებზე:</u>

- საკონსულოებმა და სავიზო ცენტრებმა უნდა აღასრულონ ვიზის ფასილიტაციის შეთახმებით გათვალისწინებული მოსაკრებლის გაუქმების გადაწყვეტილება. სავიზო მოსაკრებლის გაუქმების პირობას ხშირად არღვევენ საკონსულო ოფისებისა და სავიზო ცენტრების თანამშრომლები (ერთი და იმავე ტიპის ვიზიტისთვის ზოგჯერ იღებენ სავიზო მოსაკრებელს, ზოგჯერ კი - არა). იმისათვის, რომ გაუქმდეს სავიზო მოსაკრებელი, განაცხადის ფორმებში შესაძლოა გაჩნდეს სექცია სავიზო მოსაკრებლის გაუქმების კატეგორიის შესახებ.
- ევროკავშირის სახელმწიფოები უნდა წახალისდნენ სომხეთის სხვადასხვა ქალაქში სავიზო ცენტრების გასახსნელად (გიუმრი, ვანაძორი და კაპანი) იმისათვის, რომ მოშორებით მდებარე ქალაქების მოსახლეობამ შედარებით მარტივად შეძლოს სავიზო პროცედურების გავლა.

პროექტი ხორციელდება „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის“ ქვე-გრანტის სქემის ხელშეწყობით (FSTP) და ფინანსდება ევროკავშირის მიერ, რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობის ფარგლებში. აღნიშნული ქვე-გრანტის სქემის ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი ხელს უწყობს პლათფორმის წევრებს მისი მისიისა და ამოცანების შესრულებაში. პროექტს ნაწილობრივ აფინანსებს „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ (NED).